ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 60

ქალაქი ქუთაისი 25 მარტი 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 233-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 17 მარტის №44-4426076269 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №206074193) ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის №100-ის მიმდებარედ/ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის №100-ში (ფართობი: 23 467.30 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.06.27.442) მდებარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 2027 წლის იანვრის თვის ჩათვლით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 20 ივნისის №1008 განკარგულებით

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. № 60
25 03 2026 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განსაზღვრული სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის/რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია